კავკასიის უნივერსიტეტი

თანასწორუფლებიანობისა და მრავალფეროვნების პოლიტიკა

1.ზოგადი დებულებები

კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფასეულობა არის საგანმანათლებლო სივრცეს შესძინოს მრავალფეროვნება. უნივერსიტეტი მასთან დაკავშირებულ და დაინტერესებულ პირთათვის ქმნის ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს მიუხედავად მათი განსხვავებული შეხედულებების, ღირებულებების, რწმენის, ტრადიციებისა და მსოფლმხედველობისა.

კავკასიის უნივერსიტეტი ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურებით, გამოცდილებითა და წარმომავლობით განპირობებული განსხვავებულობის გაგებას.

უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს მრავალფეროვნება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტში კულტურის დამკვიდრებისა და ისეთი გარემოს შესაქმნელად, რომელშიც ყველა თანასწორია და თანაბარი შესაძლებლობითა და ჩართულობის უფლებით სარგებლობს.

2. თანასწორობა და მრავალფეროვნება

კავკასიის უნივერსიტეტი სხვადასხვა წარმომავლობისა და ცხოვრების სტილის მქონე წევრთა ერთობაა, რომლებიც ქმნიან სოციალურად მრავალფეროვან სივრცეს. მისი თითოეული წევრი უნივერსიტეტის ცხოვრებას საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით ამდიდრებს. კავკასიის უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, სადაც პატივს სცემენ მისი წევრების მრავალფეროვნებას და ხელს უწყობენ მათ შესაძლებლობების გამოვლენასა და უნივერსიტეტის ცხოვრებაში საკუთარი წვლილის შეტანაში შემდეგი პრინციპების დაცვით:

- პატივისცემით მოპყრობა და ადამიანის ღირსების დაცვა;
- სამართლიანობა;
- ხელშეწყობა სრული პოტენციალის გამოვლენაში.

ჩვენ პატივს ვცემთ რასის, ეთნიკურობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკის და სექსუალური ორიენტაციის მრავალფეროვნებას.

კავკასიის უნივერსიტეტი მოწოდებულია, რომ:

- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალში გარკვეული ბალანსი შეინარჩუნოს ქალ და მამაკაც თანამშრომლებს შორის;
- თანაბარი მხარდაჭერა გაუწიოს ყველას კარიერულ წინსვლაში რასის, ეთნიკურობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად;
- ერთნაირი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში თანაბარი სახელფასო პოლიტიკა გაატაროს პერსონალის მიმართ მიუხედავად რასის, ეთნიკურობის, აღმსარებლობის, სქესის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციისა;
- მოხსნას დაბრკოლებები, რომელიც ხელს უშლის პერსონალს სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს სამუშაო პროცესში.

3. დისკრიმინაციაზე პასუხისმგებლობა

არცერთი პირი არ გახდება უსამართლო დისკრიმინაციის მსხვერპლი. მათ შორის, არც განსხვავებული ასაკობრივი, რასობრივი, ეთნიკური, აღმსარებლობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ნებისმიერი ადამიანის ჩაგვრას, შევიწროებასა და დევნას ჩვენს მისწრაფებებთან შეუთავსებლად ვთვლით. ნებისმიერი ასეთი ქმედება სათანადოდ იქნება შესწავლილი და მიღებული იქნება ადეკვატური ზომები.